საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

29/01/2025

MES 4 25 0000079178

გადაწყვეტილება

„ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 04 ნოემბრის №1425406 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე (ოქმი №79150) დაფიქსირებ ული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 04 ნოემბრის№1425406 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში და გადაწყვეტილების დანართ №1-ის მე-18 პუნქტში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 01 სექტემბრამდე.
2. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ